



# საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL  
PROTECTION AND AGRICULTURE  
OF GEORGIA

N 11427/01  
04/12/2020

11427-01-2-202012041616



## თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს

ასლი: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 30 ნოემბერს სამინისტროში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ, ქვემო ქართლის, რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის“ პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება **2020 წლის 21 დეკემბერს, 14:00 საათზე.**

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდში მოქმედებს სხვადასხვა სახის შეზღუდვები, კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება (<https://matsne.gov.ge/document/view/4994730?publication=0>), რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პანდემიის/ეპიდემიის დროს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართება დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, Webex-ის აპლიკაციის გამოყენებით. საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკები - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/29289> ).

საჯარო განხილვაზე დასწრების ბმული:

შეხვედრის ლინკი:

<https://mepameet.webex.com/mepameet/j.php?MTID=m47bde230ac0a669ea94b98c51a7d2678>

შეხვედრის კოდი: 12345678

შეხვედრის ნომერი: 175 271 5237


საჯარო განხილვებში მონაწილეობისთვის, გთხოვთ, უზრუნველყოთ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების Webex-ის აპლიკაციის დაყენება. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში, შეხვედრის ელ. ბმულზე გადასვლის შემდგომ. აპლიკაციით სარგებლობა შესაძლებელია როგორც სმარტფონით, ასევე პერსონალური კომპიუტერითა და ლეპტოპით (დამატებით გაცნობებთ, რომ შეხვედრაზე დასწრებისთვის სავალდებულოა ელექტრონული ფოსტის გამოყენება).

დამატებით გაცნობებთ, რომ „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენელი. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ უზრუნველყოთ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის და სოფ. წინწყაროს, სოფ. ასურეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლების დასწრება დისტანციურ საჯარო განხილვაზე, ასევე შესაბამისი კანდიდატურების (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით) წარმოდგენა სამინისტროში.

ამასთან გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე, ოფიციალურ ვებგვერდებსა და ფეისბუქის გვერდებზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაძლოდ მოკლე ვადაში გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით. დანართის სახით, გიგზავნით ინფორმაციას ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

